პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 209 (5499)

1975 წ. 21 ოქტომბერი, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

დღეს სტარტია

როგორი ბუნებისა და გამოცდილების გულშემატკივარიც არ უნდა იყო, მოახლოებული სტარტი მაინც აგაღელვებს. ახლა, როცა დიდი მატჩის სტარტი კარს მოგვადგა, ყველას ყველაფერი აინტერესებს, ყველას უამრავი კითხვა აწუხებს. ეს ასეც უნდა იყოს.

ჩვენც ვისაუბროთ იმაზე, რაც ნ. გაფრინდაშვილ — ნ. ალექსანდრიას მატჩს შეეხება.

მეტოქეებს ყველა კარგად იცნობს. მათ შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა. დავუმატებთ მხოლოდ იმას, რომ უკანასკნელად ისინი ერთმანეთს თბილისში, ქალთა 1973 წლის საერთაშორისო ტურნირში შეხვდნენ. მაშინ ნონამ გაიმარჯვა. მანამდელი ხუთი შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

— პირადად ჩემთვის წინა შეხვედრების შედეგებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, — ამბობს მსოფლიო ჩემპიონი. — მსოფლიო პირველობების ისტორიაში ცნობილია ისეთი მატჩები, როცა პრეტენდენტს, რომელსაც მანამდე მსოფლიო ჩემპიონისთვის პარტია არ მოუგია, მატჩში გაუმარჯვნია. მხედველობაში მაქვს ალიოხინის გამარჯვება კაპაბლანკასთან და ფიშერისა — სპასკისთან.

ფიდე-ს დებულებით, მეტოქეებმა 16 პარტია უნდა ითამაშონ. ის, ვინც ადრე მოაგროვებს 8,5 ან 9 ქულას, მსოფლიო ჩემპიონად გამოცხადდება და მატჩიც შეწყდება. ნონა გაფრინდაშვილს, როგორც მსოფლიო ჩემპიონს, მხოლოდ ერთი უპირატესობა აქვს: 8 ქულა ყოფნის ტიტულის შესანარჩუნებლად.

ორთაბრძოლა მეტოქეებისგან დიდ ფიზიკურ და სულიერ გამძლეობას მოითხოვს. თითოეული პარტიის თამაში დამქანცველი შრომაა. რა თქმა უნდა, ნონაც და ნანაც სათანადოდ მოემზადნენ მძიმე პაექრობისთვის. მსოფლიო ჩემპიონმა თავის მწვრთნელ, დიდოსტატ ა. გიპსლისთან ერთად თითქმის ორი თვე გაგრაში დაჰყო, ნანამ და მისმა მწვრთნელმა, დიდოსტატმა ბ. გურგენიძემ — წყნეთსა და ბორჯომში.

კვირაში მხოლოდ სამი პარტია გათამაშდება (სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს). თუ პარტია დაუმთავრებელი დარჩა, მას მეორე დღეს — ოთხშაბათს, პარასკევსა და კვირას გააგრძელებენ. ორშაბათს მეტოქენი ისვენებენ.

მატჩს მოემსახურება მსაჯთა ჟიური: მთავარი მსაჯია გამოჩენილი ჩეხოსლოვაკიელი დიდოსტატი და საერთაშორისო არბიტრი მიროსლავ ფილიპი, მისი მოადგილეა — მოსკოველი საერთაშორისო არბიტრი თამარ სტრანდსტრემი, მდივანი — რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ლეილა ნაჭყებია.

სამივე საკმაოდ გამოცდილი მსაჯია. ფილიპს უმსაჯია მსოფლიო პირველობაზე პეტროსიან — სპასკის 1969 წლის მატჩი, სტრანდსტრემს — ბიკოვა — ზვორიკინას 1959-60 წლის მატჩი და ნ. გაფრინდაშვილის ორი უკანასკნელი ორთაბრძოლა ტიტულის შესანარჩუნებლად. ნაჭყებია საქართველოში გამართული ქალთა საერთაშორისო ტურნირების მსაჯი ყოფილა.

ნონასა და ნანას სურვილით, მატჩის პირველი ნახევარი (I-VIII პარტია) ბიჭვინთაში გაიმართება, მეორე ნახევარი (IX—XVI პარტია) — თბილისში.

დიდია ჭადრაკის მოყვარულთა ინტერესი მატჩისადმი. სწორედ ეს გაითვალისწინეს, როცა გადაწყდა ამ ასპარეზობისადმი მიძღვნილი სპეციალური ბიულეტენის გამოცემა. ბიულეტენის 15 ნომერში გამოქვეყნდება ორთაბრძოლის ყველა პარტია გამოცდილ სპეციალისტთა კომენტარებით, დაიბეჭდება ინტერვიუ გამოჩენილ დიდოსტატებთან და ოსტატებთან, მასალები ქალთა მსოფლიო პირველობის ისტორიიდან და ბევრი სხვა.

მატჩს, ცხადია, ჟურნალისტებიც დაესწრებიან. ამიტომ ჯერ ბიჭვინთაში, შემდეგ თბილისში იმუშავებს პრეს-ცენტრი, რომელსაც თბილისელი ოსტატი ა. ბოკუჩავა უხელმძღვანელებს.

დღეს, 21 ოქტომბერს, მატჩის სტარტია. მეტოქეები საჭადრაკო მაგიდას მიუსხდებიან I პარტიის სათამაშოდ.

თ. გიორგაძე.

ძღვნად ნონასა და ნანას



შამათი სამ სვლაში

ამ ამოცანას ვუძღვნი ჩვენს სახელოვან მოჭადრაკეებს ნონასა და ნანას. ფიგურების წყობაში გამოსახულია მათი სახელების პირველი ასო ინგლისური ტრანსკრიპციით, ორივე ხომ ინგლისური ენის სპეციალისტია.

რ. თავარიანი,
საჭადრაკო კომპოზიტორი.

მილიონთა კროსი

კვირას ალმა-ათაში გაიმართა მამულიშვილთა კომკავშირულ-პროფკავშირული მძლეოსნური საკავშირო კროსის ფინალური შეჯიბრება, რომელსაც წინ უსწრებდა ფიზკულტურული კოლექტივების, რაიონების, ქალაქებისა და რესპუბლიკების პირველობები. სულ ამ ღონისძიების სტარტზე 10 მილიონზე მეტი ფიზკულტურელი გამოვიდა. ფინალმა კი 200-ზე მეტ სპორტსმენს მოუყარა თავი.

ვოგონათა შორის 1500 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა ტირასპოლელმა ს. გუსკოვამ — 4.33,4.

2000 მეტრზე მორბენალ ქალთა შეჯიბრებაში ფინიშთან პირველი მიიჭრა გროდნოელი ლ. პრუდნიკოვა—6.29,0.

ქალთა შორის 3000 მეტრზე ასპარეზობაში ჩემპიონი გახდა ულიანოვსკელი რ. სარდრეტდინოვა — 9.44,6.

ჭაბუკები 3 კილომეტრზე დარბოდნენ. ყველაზე კარგი შედეგი მოიპოვა ვიტებსკელმა მოსწავლემ ვ. კოტოვმა — 8.37,4.

იუნიორთა შეჯიბრება 5 კილომეტრზე რბენაში მოიგო ვილნიუსელმა ა. ანტიპოვმა, რომელმაც 14.24,0 აჩვენა.

ვაჟების 8 კილომეტრზე შეჯიბრებაში ჩემპიონის ოქროს მედალი ერგო მოსკოველ სტაიერს ვ. ჩერნიაევს. მისი შედეგია 23.30,4.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას უკრაინის მძლეოსნებმა აჯობეს. მოსკოველები მათ 2 ქულით ჩამორჩნენ. III ადგილზეა ბელორუსიის ნაკრები, შემდეგი საპრიზო ადგილები დაიკავეს რსფსრ-ს, ლიტვისა და ყაზახეთის სპორტსმენებმა.

გუნდი აღსდგა და... გაიმარჯვა

ორი თვის წინათ ცნობილ ხელბურთელს, სპორტის საპატიო ოსტატს ჯ. ცერცვაძეს „ლოკომოტივის“ გუნდის აღდგენა სთხოვეს. ჯემალს უმალვე ყოფილი თანაგუნდელები ა. ექსეულიძე, მ. სხიერელი და „ლოკომოტივის“ უწინდელი გუნდის წევრი რ. ჭანტურია ამოუდგნენ მხარში. აღდგენილ გუნდში დიდი მონდომებით განაგრძეს ვარჯიში ხელბურთელებმა ვ. ცნობილაძემ, დ. დანელიამ, თ. მაცუკაშვილმა, ბ. გოგიამ, გ. შარანგიამ, თ. გობიანიძემ და ლ. აბესაძემ.

მეგობრული ანსამბლი მალე მონოლითურ კოლექტივად შეიკრა და აი, ამ დღეებში მან პირველი სასახელო გამარჯვებაც იზეიმა: ვაჟთა რვა კოლექტივში, რომლებიც თბილისის ტრადიციულ პირველობაში უძლიერესის სახელისთვის იბრძოდნენ, რკინიგზელებს ბადალი არ ჰყავდათ.

— რამ განაპირობა თქვენი ხელბურთელების შედარებით მოკლე დროში ასეთი კარგი მომზადება?

— ვკითხეთ „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ო. გოშაძეს.

— პირველ ყოვლისა მონდომებამ, საწვრთნელი მეცადინეობებისადმი პასუხისმგებლობამ და, რა თქმა უნდა, შესაფერისმა სპორტულმა ბაზამ. ჩვენი ხელბურთელები ალბათ არც საქართველოს პირველობაში შეგვარცხვენენ, — იმედი გამოთქვა გოშაძემ.

წარმატებად უნდა ჩაითვალოს სამედიცინო ინსტიტუტის ახალგაზრდული გუნდის მიერ მოპოვებული II საპრიზო ადგილიც. მესამე იყო არმიის სპორტული კლუბის კოლექტივი.

თ. ჭეიშვილი.



დაწინაურდა საუნინა

ფრუნზე, 20 ოქტომბერი. (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). ქალთა 35-ე საკავშირო ჩემპიონატის X ტურის შემდეგ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

როგორც ვიუწყებოდით, თბილისელ მ. ჩიბურდანიძეს უარეს პოზიციაში ჰქონდა გადადებული პარტია ტალინელ ტ. ფომინასთან (VII ტური). ფომინამ კარგად გამოიყენა უპირატესობა და გაიმარჯვა.

VIII ტურიდან გადადებულ პარტიებში ა. გრინფელდი (კალინინგრადი) — ტ. ზატულოვსკაია (მოსკოვი) და ლ. საუნინა (სვერდლოვსკი) — ფომინა ყაიმზე შეთანხმდნენ.

IX ტურიდან გადადებულ პარტიებში ე. ახმილოვსკაიამ (კრასნოიარსკი) დაამარცხა ლ. კრისტოლი (ლენინგრადი), მ. ლიტინსკაიამ (ლვოვი) — ნ. გურიელი (თბილისი), ნ. მედიანიკოვამ (მოსკოვი) — ჩიბურდანიძე. ყაიმით დამთავრდა მ. რანიკუ (ტალინი) — ე. ფატალიბეკოვას (მოსკოვი), ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი) — საუნინას, ზატულოვსკაია —ნ. ტიტორენკოს (მოსკოვი) შეხვედრები.

X ტურიდან გადადებულ პარტიებში გრინფელდმა დაამარცხა ტიტორენკო, ხოლო ფატალიბეკოვამ — ფომინა. კვლავ გადაიდო ჩიბურდანიძე — ზატულოვსკაიას პარტია.

გაიმართა XI ტური. საყოველთაო ინტერესს იწვევდა შეჯიბრების ლიდერის საუნინას შეხვედრა ზატულოვსკაიასთან. შავებით მოთამაშე საუნინამ სიცილიური დაცვის სარისკო გაგრძელება აირჩია. ზატულოვსკაიამ ხარისხიც შესწირა, შემდეგ კი ორი ფიგურა მოიგო მეტოქის ეტლსა და პაიკში. წარმატება მან ლოგიკურ ბოლომდე ვერ მიიყვანა და შედეგად ყაიმი აღინიშნა.

საინტერესოდ მიმდინარეობდა ფომინასა და ლ. შჩერბინას (სევასტოპოლი) შეხვედრა. მე-18 სვლაზე ფომინამ ფიგურა შესწირა, რათა პოზიცია გაეხსნა. შჩერბინამ მოიგერია ყველა მუქარა და გაიმარჯვა.

მხოლოდ გამოუცდელობით შეიძლება აიხსნას გურიელის წაგება რანიკუსთან.

ხანგრძლივი, მანევრული ბრძოლის შემდეგ ყაიმზე შეთანხმდნენ ახმილოვსკაია და გრინფელდი.

კრისტოლმა დაამარცხა ბელოვა.

დანარჩენი პარტიები გადაიდო. ჩიბურდანიძეს სიცილიურ პარტიაში ტიტორენკოს წინააღმდეგ თანაბარი ბრძოლა ჰქონდა, მაგრამ შუა თამაშში მეტოქეები შეცდნენ და ახლა გადადებულ პოზიციაში, სადაც ლაზიერების ენდშპილია, ტიტორენკოს შანსები უფრო საიმედოა.

11 ტურის შემდეგ დაწინაურდა საუნინა — 7 ქულა (11-დან). 6-6 ქულა მოაგროვეს ახმილოვსკაიამ, შჩერბინამ, ფომინამ და გრინფელდმა. ამ უკანასკნელმა 11 შეხვედრიდან, ხოლო დანარჩენებმა — 10-დან. ჩიბურდანიძეს 4,5 ქულა აქვს 9-დან, ხოლო გურიელს 3,5 (10-დან).

მ. შიშოვი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი.

ბევრს ფიქრობს და იმარჯვებს კიდეც

კიშინიოვში ვაჟთა 43-ე საკავშირო შეჯიბრების პირველი ლიგის ტურნირის XI ტურში დ. ბრონშტეინმა (მოსკოვი) ჩვეულებას არ უღალატა, თანაქალაქელ კ. გრიგორიანთან შეხვედრაში ბევრს ფიქრობდა. მისი ეტლი მეტოქის განლაგებაში შეიჭრა და გრიგორიანი იძულებული გახდა დანებებულიყო, ვინაიდან ფიგურას კარგავდა.

პირველი გამარჯვება იზეიმა გ. ტიმოშჩენკომ (ნოვოსიბირსკი), რომელმაც დაამარცხა ა. პანჩენკო (ჩელიაბინსკი). კვლავ დამარცხდა მ. პოდგაეცი (ოდესა), ამჯერად, გ. კუზმინთან (ვოროშილოვგრადი).

ნ. რაშკოვსკი (კურგანი) — ბ. გულკოს, ვ. ჩეხოვ (ორივე — მოსკოვი) — ვ. ცეშკოვსკის (ომსკი), ი. დორფმან (ჟიტომირი) — ვ. ტუკმაკოვის (ოდესა) და ი. კლოვან (რიგა) — მ. ტაიმანოვის (ლენინგრადი) შეხვედრები ყაიმით დამთავრდა.

ორი პარტია გადაიდო. ე. ვასიუკოვს (მოსკოვი) პაიკი აკლია ვ. სავონთან (ხარკოვი) შეხვედრაში, ხოლო ე. გუფელდს (თბილისი) მოგების შანსები აქვს ი. ივანოვთან (დუშანბე) გადადებულ პარტიაში.

11 ტურის შემდეგ ლიდერობს ბრონშტეინი — 7,5 ქულა. 7 ქულა აქვს გულკოს, 6,5-6,5 — კლოვანს, კუზმინსა და რაშკოვსკის.

900 წლისთავის აღსანიშნავად

უნგრეთის ქალაქ სოლნოკს დაარსებიდან 900 წელი შეუსრულდა. ამის აღსანიშნავად აქ მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 16 მოჭადრაკე მონაწილეობს, მათ შორის, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვ. სმისლოვი, ი. ზაიცევი (ორივე — სსრ კავშირი), ლ. ბარცაი, ი. ბილეკი (ორივე — უნგრეთი), პ. ბენკო, ე. მეჯნისი (ორივე — აშშ), ჰ. ვესტერინენი (ფინეთი), ჰ. რობაჩი (ავსტრია) და სხვ.

ტურნირი 31 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

7 ტურის შემდეგ

იუგოსლავიის ქალაქ ნოვი-სადში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში უკან დარჩა შეჯიბრების ნახევარი: 7 ტურის შემდეგ დაწინაურდა საბჭოთა დიდოსტატი ო. რომანიშინი — 4,5 ქულა (1 გადადებული პარტია). ამდენივე ქულა დააგროვეს მეორე საბჭოთა დიდოსტატმა ი. ბალაშოვმა და იუგოსლავიის ექს-ჩემპიონმა მ. მატულოვიჩმა.

შეჯიბრების დამთავრებამდე რვა ტური დარჩა.

ორი ლიდერი

მოსკოვში ა. ალიოხინის მემორიალზე გაიმართა V ტური. ვ. კორჩნოიმ (სსრ კავშირი) მეორე გამარჯვება მოიპოვა, ამჯერად, კუბელ ს. გარსიასთან. იუგოსლაველმა ა. პლანინცმა დაამარცხა ჰოლანდიელი გ. ზიომი.

ყაიმით დამთავრდა ვ. ჰორტ (ჩეხოსლოვაკია) — ე. გელერის (სსრ კავშირი), ლ. ლენდიელ — (უნგრეთი) — რ. ხოლმოვის, მ. ტალ — ტ. პეტროსიანის (ყველა — სსრ კავშირი) და მ. სტინ (ინგლისი), — რ. ვაგანიანის (სსრ კავშირი) პარტიები.

ბ. სპასკი — ა. ბელიავსკის (ორივე — სსრ კავშირი) შეხვედრა გადაიდო მწვავე პოზიციაში ორმხრივი შანსებით.

5 ტურის შემდეგ შეჯიბრებას ორი ლიდერი ჰყავს — გელერი და ვაგანიანი, რომელთაც 3,5-3,5 ქულა აქვთ.

საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების ინიციატივით თბილისში დაიწყო პროფკავშირული ორგანიზაციებისა და სპორტსაზოგადოებების თანამშრომელთა შეჯიბრება მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში. პირველ სახეობაში — მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში ტურნირი კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ტირში გაიმართა.

* * *

სურათზე: ცეცხლის ხაზზე არიან (მარცხნიდან) „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ა. კორინთელი, საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების ინსტრუქტორი ნ. ყურაშვილი და ამ განყოფილების გამგე ი. ბოჭორიძე.

მ. ზარგარიანის ფოტო.

გადავხედოთ ტურნირის ფორმულას

წყვილთა ტრადიციული რბოლა თბილისის ტრეკზე

ეს აზრი დაებადა ყველას, ვინც კი ამ დღეებში თბილისის ველოტრეკზე ასპარეზობას ესწრებოდა. წყვილთა რბოლის ფორმულა უნდა შეიცვალოს უსათუოდ, თანაც საფუძვლიანად.

რაშია საქმე? ნუთუ შეჯიბრების დებულებაში არ იყო რამე გათვალისწინებული? ნუთუ მას აკლდა სიზუსტე ან დამაჯერებლობა? მიუხედავად იმისა, რომ წყვილთა რბოლის ფორმულა მკვეთრად არის ჩამოყალიბებული, ზოგჯერ იგი არ იძლევა ძალთა ობიექტური თანაფარდობის სურათს. როდესაც ასეთი „ბრალდებით“ გამოვდივართ, უსათუოდ უნდა მოვიშველიოთ ფაქტები, რათა „ბრალდება“ ჰაერში არ დარჩეს გამოკიდებული.

ფაქტები კი ასეთია: ისინი, ვინც ყველაზე აქტიურად იბრძოდნენ ხუთი დღის მანძილზე და ვინც ყველაზე მეტი ქულა დააგროვა, პრიზიორთა შორისაც ვერ მოხვდნენ, ვინაიდან რბოლის დასაწყისში, ერთ-ერთ ეტაპზე, სამ გაქცეულ წყვილს ერთი წრით ჩამორჩნენ. წრე დისტანციური უპირატესობისა — ველოსპორტში ის მაგიური ძალაა, რომელიც მთლიანად ცვლის ბრძოლის სურათს. ამ უპირატესობის მიღწევას მართლაც დიდი ოსტატობა სჭირდება, ოსტატობაზე უფრო მეტად კი — ფიზიკური ძალა და გამძლეობა, მაგრამ იგი, ჩვენის აზრით, ასეთი გადამწყვეტი ფაქტორი არ უნდა იყოს, თუნდაც იმიტომ, რომ ბრძოლას არ დაუკარგოს ხალისი და მნიშვნელობა.

შეჯიბრების დასაწყისში, უფრო ზუსტად მეორე ეტაპზე ორმა წყვილმა მოახერხა გაქცევა. ესენი იყვნენ დანიელები — გ. ფრანკი და ბ. სიორენსენი და ესტონელები — ტ. ვილამა და უ. ტოომა. მაშინ, ამ უპირატესობისთვის რბოლის დანარჩენ მონაწილეებს ყურადღება არ მიუქცევიათ — ბევრი ეტაპი იყო დარჩენილი და ალბათ ერთ-ერთ მათგანზე დაკარგულის ანაზღაურებას ფიქრობდნენ. მაგრამ გადიოდა დრო, ეტაპები, ამ ორი წყვილის პოზიცია კი ვერავინ შეარყია.

ქულებისთვის ბრძოლაში გართულებს (აქ მხედველობაში გვყავს უპირველესად სამი წყვილი — № 21 — კიშინეველი ი. რიბაჩენკო და კიეველი ი. კუჩერიავი, № 16 — ტულელები გ. გუბენკოვი და ა. სუდარჩიკოვი და № 13 — ლენინგრადელები ნ. კრასკოვი და ა. დენისოვი) ისე შემოათავდათ ხელში ეტაპები, რომ ერთხელაც სერიოზულად ვერ იფიქრეს დისტანციური დანაკლისის გაბათილებაზე. ხოლო როცა გონს მოეგნენ, უკვე გვიან იყო. მეტსაც გეტყვით, უკვე საბოლოოდ იმედგატეხილებს, კიდევ ორჯერ გამოეპარათ მხედველობიდან გაქცეული წყვილები.

რაშია აქ უსამართლობა? ჯერ ერთი იმაში, რომ 21-ე წყვილმა მთელი რბოლის პროცესში დააგროვა 132 ქულა, რამდენჯერმე უფრო მეტი, ვიდრე პირველ სამ ადგილზე გასულებმა (ამ უკანასკნელებს შესაბამისად აქვთ 43,41 და 39 ქულა). მეორეც, რიბაჩენკომ და კუჩერიავიმ რამდენიმე ეტაპი მოიგეს, დანარჩენებში კი პრიზიორთა შორის იყვნენ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ წყვილი № 21 საუკეთესო ფორმაში იყო. და მესამე, ასეთი დიდი უპირატესობის მიუხედავად, მათ პრიზიორთა შორის მოხვედრის არავითარი შანსი არ დარჩათ.

ახლა იგივე საკითხი სხვა კუთხით შევაფასოთ. ლიდერებმა, მიაღწიეს რა დისტანციურ უპირატესობას, ფაქტიურად შეწყვიტეს რბოლა. ერთმანეთის კონტროლი — აი, რით შემოიფარგლა მთელი მათი საქმიანობა მომდევნო ეტაპებზე. ისინი მშვიდად მიყვებოდნენ ჯგუფს კუდში და მხოლოდ მაშინ გააქტიურდებოდნენ, როცა რომელიმე წყვილი დააპირებდა გაქცევას.

ე. ი. საკმაოდ პასიური ბრძოლით მათ არა თუ შესძლეს პირვანდელი უპირატესობის შენარჩუნება, არამედ მეათე ეტაპის ერთ-ერთ ფინიშზე, კიდევ ერთი წრე მოუგეს ძირითად ჯგუფს და საბოლოოდ გადაწყვიტეს კიდეც რბოლის ბედი.

შეიძლება შემოგვედავონ. რატომ არ დაისახეს იგივე ამოცანა მიზნად 21-ე, მე-16 ან მე-13 წყვილებმაო. მართლაც, რატომ ერთხელ მაინც არ სცადეს მტკიცედ დაწინაურება, ვთქვათ, რიბაჩენკომ და კუჩერიავიმ? ისინი ხომ მთელი თავით მაღლა იდგნენ დანარჩენებზე? ეს ჩვენთვის ახლაც საიდუმლოა. ერთ-ერთმა მონაწილემ რბოლის დამთავრების შემდეგ აგვიხსნა, რომ ამაზე სერიოზულად არც გვიფიქრია, თუმცა კი ვგრძნობდით, რომ ადრე თუ გვიან, თავი უნდა დაგვეღწია ლიდერთა ტყვეობიდანო.

ბრძოლის აზარტით შეპყრობილები ამ განზრახვის განხორციელებას მომდევნო ეტაპისთვის ფიქრობდნენ და ისე შემოეცალათ თვალსა და ხელს შუა ეტაპები, რომ ერთხელაც ვერ მოიყვანეს განზრახვა სისრულეში. ამის შესაძლებლობა კი მათ, ვიმეორებთ, ბევრჯერ ჰქონდათ.

აქ ერთ გარემოებასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება: ჩვენს ველოსიპედისტებს ჯერ კიდევ აკლიათ დიდ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის გამოცდილება. ისინი ძალზე ერთფეროვნულად, სწორხაზობრივად წარმართავენ რბოლას და მთლიანად დაყრდნობილი არიან თავიანთ ფიზიკურ უპირატესობას. არადა ამ სახეობაში, ისევე როგორც სხვა ჯგუფურ რბოლებში, ტაქტიკური აზროვნების უნარს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

აი, ამის ერთი ნათელი მაგალითი. პოლონეთის ქალაქ ლოძის ველოსიპედისტთა წყვილი (№ 7 — ჰ. ნიკსა და ნ. სალომონი), შვიდი ეტაპის განმავლობაში ჩრდილში იყო. მე-8 ეტაპზე მან ერთი ფინიში მოიგო და 40 ქულით მეთერთმეტედან მეათე ადგილზე გადაინაცვლა. მაგრამ ამ ეტაპის ბოლო ფინიშზე ლოძის წყვილმა მოახერხა გაქცევა ერთი წრით და... რბოლის ერთპიროვნული ლიდერი გახდა. ნიკსასა და სალომონის ტაქტიკა მარტივი იყო — მათ მოადუნეს ძირითადი ჯგუფის ყურადღება და, როდესაც ლიდერები ერთმანეთის კონტროლით იყვნენ გართულნი, დანარჩენები კი მხოლოდ ქულებზე ნადირობდნენ, ჩანაფიქრი სისრულეში მოიყვანეს.

იგივე ტაქტიკური მანევრი განახორციელა ჩეხოსლოვაკიის წყვილმა (№ 5) და ერთბაშად რამდენიმე ადგილით გადაინაცვლა წინ.

ყველაფერი ეს კიდევ ერთი საბუთია იმისა, თუ რა მნიშვნელობა აქვს წყვილთა რბოლაში სწორსა და მოქნილ ტაქტიკას. სხვათა შორის, ნიშანდობლივი არის ის ფაქტიც, რომ თბილისის საერთაშორისო ტურნირის პირველ ოთხეულში სამი უცხოური წყვილი (დანიის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის) გავიდა.

რამდენიმე სიტყვა მე-18 წყვილზე (თბილისელი ვ. ივანოვი და აშხაბადელი ა. ილარიონოვი), რომელიც, რა დასამალია, თბილისელ გულშემატკივართა შორის ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა. იგი თავგამოდებით იბრძოდა ეტაპებზე, აქტიურობდა, მაგრამ რიგი მიზეზების გამო, VIII ადგილზე მაღლა ვერ დადგა. ერთ-ერთი მიზეზთაგანია ის, რომ მე-18 წყვილს ამ რბოლაში არ ჰყავდა დამხმარე. ნიკსასა და სალომონს, მაგალითად, ხელს უწყობდნენ სხვა პოლონური წყვილები, რომელთა არანაკლები დამსახურებაა მათი საბოლოო გამარჯვება. ლიდერები, ნებსით თუ უნებლიედ ერთმანეთის მეტოქეებიც იყვნენ და მოკავშირენიც. ივანოვი და ილარიონოვი კი მხოლოდ თავიანთ თავს მინდობილნი განაგრძობდნენ რბოლას, ეს კი არც ისე ადვილია ასეთ დაძაბულ ბრძოლაში.

ტექნიკური შედეგები

საერთაშორისო ტურნირი — „6 დღე თბილისში“: 1. ნიკსა და სალომონი (№ 7, ლოძი) — 43 ქულა და 2 წრე დისტანციური უპირატესობისა.

2. ფრანკი და სიორენსენი (№ 6, დანია) — 41 ქულა და 2 წრე დისტანციური უპირატესობისა.

3. ვილამა და ტოომა (№ 23, ტალინი) — 39 ქულა და 2 წრე დისტანციური უპირატესობისა.

4. კოსეკი და მიქშიკი (№ 5, პოლონეთი) — 124 ქულა და 1 წრე დისტანციური უპირატესობისა.

5. რიბაჩენკო და კუჩერიავი (№ 21, კიშინიოვი — კიევი) — 192 ქულა.

სსრ კავშირის ჩემპიონები:

1. ვილამა და ტოომა.
2. რიბაჩენკო და კუჩერიავი,
3. გუბენკოვი და სუდარჩიკოვი (№ 16, ტულა) — 164 ქულა,
4. კრასკოვი და დენისოვი (№ 13, ლენინგრადი) — 162 ქულა,
5. ივანოვი და ილარიონოვი (№ 18, თბილისი — აშხაბადი) — 119 ქულა.

ნ. ბუხუშვილი.

სსრ კავშირის ჩემპიონატი

მწვრთნელების აზრით...

თბილისი. „სინათლის“ სტადიონი. 19 ოქტომბერი.

„ივერია“ (თბილისი)—„სლავა“ (მოსკოვი) 6:3 (3:0).

„ივერია“: კოტრიკაძე, ცხვედიანი, ურუშაძე, რეხვიაშვილი, კემულარია, რამიშვილი, მამულაშვილი, ქოჩლაშვილი, მენაბდე (თოფურია), კიზირია, ეკალაძე, ანდღულაძე, ნიჟარაძე, ცინცაძე, აბაშიძე.

„სლავა“: ზარბარიუში, გარკუშა (კოჩეტკოვი), ბოგდანი, პაშჩინსკი, იგნატიოვი, კაშუტინი, რიბკინი, კოჟინი, ბელკოვინი, ლისოვი (პერეზუბოვი), ნოვიკოვი, სტეპანჩიკოვი, კოროტაევი, ბოიკო, ვირცერი.

მსაჯი ვ. მკრტჩიანი (ერევანი).

ეს იყო საკავშირო ჩემპიონატის დებიუტანტის — მოსკოვის „სლავას“ პირველი გამოსვლა თბილისის სტადიონზე. სტუმრებს საპრიზო ადგილის მოპოვების დიდი შანსი ჰქონდათ, მაგრამ ამგვარი წარმატების იმედი არც მასპინძლებს აკლდათ. ამიტომაც შეხვედრამ პრინციპული ხასიათი მიიღო. საქმე იმაშია, რომ „სლავას“ ბოლო მატჩი მოსკოვის „ფილისთან“ აქვს და სსრ კავშირის უკვე ხუთგზის ჩემპიონს მისი მოგება არ უნდა გაუჭირდეს, „ივერია“ კი შინ მოსკოვის „ლოკომოტივსა“ (გამოტოვებული მატჩი) და კიევის „სპარტაკს“ მიიღებს. თუ თბილისელთა პოტენციურ შესაძლებლობებსა და მოთამაშეთა მონდომებას გავითვალისწინებთ, მათ დარჩენილი შეხვედრები თავიანთ სასარგებლოდ უნდა დაამთავრონ, მაშინ „ივერია“ გათამაშების ცხრილში „სლავაზე“ მაღლა აღმოჩნდება.

ამ დღეს მინდორზე კვლავ ვიხილეთ ცხვედიანი, რომელმაც ობიექტური მიზეზების გამო რამდენიმე მატჩი გამოტოვა. იგი ამ შეხვედრაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ცხვედიანი ყველგან ასწრებდა და არავითარ შავ სამუშაოს არ ერიდებოდა. მართალია, ამ შეხვედრაში ქებას მასპინძელთა ყველა მოთამაშე იმსახურებს, მაგრამ ცხვედიანზე განსაკუთრებით იმიტომ შევჩერდით, რომ წვრთნას მოკლებულმა კაცმა ძალღონე არ დაზოგა.

ანგარიში ნიჟარაძემ გახსნა: არეკნით დარტყმული ბურთი „სლავას“ ძელებს შორის გაატარა. შესვენებამდე ანგარიში არ შეცვლილა. უაღრესად ხელსაყრელი ადგილიდან არეკნით დარტყმით ანგარიშის გათანაბრების საშუალება ნოვიკოვმა ვერ გამოიყენა. საჯარიმო ვერც აბაშიძემ და კიზირიამ დაარტყეს ზუსტად. მოსკოველებში თანდათან თავი იჩინა ნერვიულობამ, რაც მალე ხულიგნობაში გადაიზარდა. მსაჯმა, რომელმაც მატჩი მთლიანად კარგად ჩაატარა, რატომღაც ვერ შეამჩნია პაშჩინსკიმ ნოკაუტში როგორ გაგზავნა ქოჩლაშვილი. პაშჩინსკი მინდვრიდან გაძევებას იმსახურებდა, მაგრამ... ეს გახდა სიგნალი იმისა, რომ ორივე გუნდის ზოგიერთ რეგბისტს ხანდახან აკრძალული ხერხებიც გამოეყენებინათ.

„ივერია“ თამაშის განახლებისთანავე ინიციატივას მტკიცედ დაეუფლა და ზედიზედ „სლავას“ ჩათვლის მოედნის აღების რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი შექმნა, მაგრამ ფიზიკურად კარგად მომზადებულმა მოსკოველებმა ჯერ ნიჟარაძე და მერე ფურცელაძე ზედ ჩათვლის მოედნის ხაზთან შეაჩერეს.

„სლავას“ ერთ-ერთი კონტრშეტევის დროს ბოიკო ყველას გაეპარა. მის წინ მხოლოდ აბაშიძე დარჩა. თბილისელს კი მისი შეჩერება ჯარიმად დაუჯდა. სხვა შემთხვევაში ბოიკო „ივერიას“ ჩათვლის მოედანში შედიოდა და ბურთის დადებაში ხელს ვერავინ შეუშლიდა. კოჟინმა ჯარიმა ზუსტად დაარტყა — 3:3. მატჩი კიდევ უფრო დაიძაბა. მასპინძლებმა გამუდმებული შეტევის ჯილდოდ საჯარიმოს დარტყმის უფლება მიიღეს და აბაშიძემ ანგარიში გაზარდა — 6:3.

მატჩის შემდეგ გუნდების მწვრთნელებს ვთხოვეთ დაესახელებინათ მეტოქე და საკუთარი გუნდების საუკეთესო მოთამაშენი.

ე. ტატურიანი („სლავა“): თბილისელთა დაცვის ხაზმა მთლიანად კარგად ითამაშა, თავდასხმის პირველ ხაზსაც გამოვყოფ, კიზირია გუნდს შესანიშნავად უძღვება. კარგი იყო აბაშიძე და № 23 (ცხვედიანი). ჩემი რეგბისტების თამაშსაც ვერ დავემდურები, ვფიქრობ, არბიტრმა ნოვიკოვის წინააღმდეგ ზედმეტი სიმკაცრე გამოიჩინა. მართალია, ხულიგნობა მოხდა, მაგრამ მკრტჩიანის სიტყვიერი გაფრთხილებაც იკმარებდა. ყვითელმა ბარათმა ბიჭებს ხასიათი გაუფუჭა. ამ წაგებით საპრიზო ადგილის მოპოვების უკანასკნელი შანსი დავკარგეთ.

დ. დავითაია („ივერია“): სტუმრებიდან განსაკუთრებით გუნდის კაპიტანი რიბკინი, ნოვიკოვი და კოჟინი მომეწონა, ისინი ყველასგან გამოირჩეოდნენ. რაც შეეხება ჩვენს ბიჭებს, მათი დღევანდელი თამაშით კმაყოფილი ვარ, რადგან შეხვედრა მოიგეს, თორემ ისე მატჩი უშეცდომოდ როდი ჩაატარეს. კარგი, მონდომებული თამაშისთვის მაინც გამოვყოფ ანდღულაძეს, ცინცაძეს, ნიჟარაძეს, ეკალაძეს, რამიშვილს, ცხვედიანს და რეხვიაშვილს.

ო. გელაშვილი.

ნაგება... დებულების თანახმად

როგორც ვიტყობინებოდით, 28 სექტემბერს თბილისის „ლოკომოტივს“ მოსკოვში „სლავასთან“ მორიგი კალენდარული მატჩი უნდა ეთამაშა. მეორე წრის ეს შეხვედრა თავიდან თბილისში იყო დაგეგმილი, მაგრამ ჩვენს სტადიონზე „ლოკომოტივისა“ და მოსკოვის „ფილის“ გუნდების მატჩში მომხდარი ინციდენტის გამო რეგბის საკავშირო ფედერაციამ თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონს დისკვალიფიკაცია მისცა. ამიტომ „ლოკომოტივის“ მატჩი „სლავასთან“ მოსკოვში დაინიშნა.

თბილისელები 28 სექტემბერს მოსკოვში „სლავასთან“ სათამაშოდ ვერ ჩავიდნენ, ვინაიდან გუნდის ხელმძღვანელობამ სამგზავრო ბილეთების შესაძენად დროულად არ იზრუნა, ხოლო შემდეგ ბილეთები ვერ იშოვნეს. „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭომ ამ მიზეზის შესახებ რეგბის საკავშირო ფედერაციას დროულად აცნობა.

ამ დღეებში საკავშირო ფედერაციის სპორტტექნიკურმა კომისიამ ამ საკითხზე იმსჯელა და დებულების თანახმად მიზეზის უკმარისობის გამო თბილისის „ლოკომოტივს“ „სლავასთან“ წაგება ჩაუთვალა — 0:30.

„ფილი“ ხუთგზის ჩემპიონია

შაბათს და კვირას გაიმართა მორიგი მატჩები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.

მოსკოვის „ფილიმ“ დაამარცხა აუტსაიდერი — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი — 32:10 და დარჩენილი ორი შეხვედრის მიუხედავად მეხუთედ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება.

სხვა მატჩები

ასე დამთავრდა: „სპარტაკი“ (კიევი) — „ავტომობილისტი“ (მოსკოვი) 13:3, ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია (მოსკოვის ოლქი) — „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) — 27:6, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) — 16:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ფილი“	16	14	0	2	314:102	28
სსა	17	11	1	5	248:140	23
„სპარტაკი“	16	11	0	6	281:155	22
„ლოკ.“ მ.	16	10	1	5	154:142	21
„სლავა“	17	9	1	7	202:150	19
„ივერია“	16	8	1	7	132:147	17
„ავტომობ.“	17	6	3	8	150:196	15
„ლოკ.“ თბ.	17	5	1	11	115:199	11
მსი	17	3	0	14	143:370	6
„ბურევესტ.“	17	2	0	15	96:234	4

ბიგაევი — გამარჯვებული

ხარკოვი, 20 ოქტომბერი. გუშინ, ადგილობრივი ელექტრომექანიკური ქარხნის კულტურის სასახლეში დამთავრდა სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში.

გადამწყვეტ ეტაპს — ფინალურ ტურნირს შემორჩა ექვსი ათლეტი: შარშანდელი აბსოლუტური ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ბ. ბიგაევი (კიევი), მსოფლიოს 1975 წლის თასის მფლობელი ვ. პარშუკოვი (სიქტივკარი), მონრეალის „ოლიმპიური კვირეულის“ ჩემპიონი ს. ხასიმიკოვი (გროზნო), სსრ კავშირის 1974 წლის ჩემპიონი ე. იკაევი (ორჯონიკიძე), მოსკოველი ნ. სკრიპკინი და მინსკელი ვ. კაპოშკინი.

ფინალის პირველსავე წრეში ხელი მოეცარა გამარჯვების ერთ-ერთ ფავორიტს, პარშუკოვს: მან ტრავმა მიიღო და გამოეთიშა ტურნირს. სამაგიეროდ, ბრწყინვალედ ჩაატარა ყველა ბრძოლა ბ. ბიგაევმა. გადამწყვეტ ორთაბრძოლაში დაამარცხა ე. იკაევი (ქულების ანგარიშით 7:4) და I ადგილი დაისაკუთრა. იგი გახდა სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი.

ვერცხლის მედალი ხვდა ს. ხასიმიკოვს, რომელმაც ასევე მოუგო იკაევს. ორჯონიკიძელი ათლეტი III ადგილზე დარჩა.

სსრ კავშირის ახალი აბსოლუტური ჩემპიონის (იგი 111 კილოგრამს იწონის) სპორტული გზა ჩრდილოეთ ოსეთში დაიწყო. შემდეგ იგი კიევში გადავიდა და წვრთნა დაიწყო სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ა. იალტირიანის ხელმძღვანელობით. ბიგაევი ორჯერ იყო თბილისის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი, შარშან კი აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული დაუთმო ი. იარიგინს (კრასნოიარსკი).

სპეციალისტთა აზრით, ამ ჩემპიონატის ერთ-ერთი აღმოჩენაა ტაშკენტის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი, 19 წლის ა. ხაიმოვიჩი, რომელიც 147 კილოგრამს იწონის.

კვლავ სტუმრების უპირატესობით

როგორც ცნობილია, რამდენიმე საერთაშორისო მატჩის ჩასატარებლად სსრ კავშირში ჩამოვიდა უნგრეთის წყალბურთელთა ნაკრები გუნდი. სტუმრებს პირველი შეხვედრა ჰქონდათ საბჭოთა კავშირის კლუბების ნაკრებთან და ეს მატჩი მათი გამარჯვებით დამთავრდა — 8:7.

უნგრელების მეორე მეტოქე გახლდათ მიმდინარე საკავშირო გათამაშების ლიდერი, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის გუნდი. მატჩი უნგრელების შეტევით დაიწყო და პირველ პერიოდში მათ შეძლეს 2 ბურთის სხვაობით დაწინაურება — 4:2.

მართალია, დარჩენილ დროში მოსკოველი მეზღვაურები ბევრს ეცადნენ მარცხისგან თავი დაეღწიათ, მაგრამ სტუმრები თავს კარგად იცავდნენ. შეხვედრა მოიგეს უნგრელმა წყალბურთელებმა — 5:4.

ამას წინათ ლენინგრადში გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიას“ პრიზზე გამართულ მეორე საერთაშორისო ტურნირში თბილისელმა ვ. აბაშიძემ მთავარი ბომბარდირის სპეციალური პრიზი მოიპოვა. აბაშიძე მუდამ გამოირჩეოდა მაღალი ინდივიდუალური ოსტატობით, დაცვაში საუკეთესო თამაშით, მაგრამ იგი არც შეტევებზე ამბობს უარს და ხშირად მეტად სახიფათო მდგომარეობას უქმნის.

სურათზე: ვ. აბაშიძის მორიგი იერიში.

ო. გელაშვილის ფოტო.

ფეხბურთი '75

სსრ კავშირის პირველობა

ფრე „დნეპრთან"

დნეპროპეტროვსკი. „მეტეორის" სტადიონი. 19 ოქტომბერი.

„დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „დინამო" (თბილისი) 0:0.

„დნეპრი": კოლტუნი, კრავჩუკი, პილიპჩუკი (შელესტი), ნაიდა, ბოგდანოვი, სოლოვიოვი, შნეიდერმანი, იაკოვლევი, მასლოვი, ხრისტიანი (რომანიუკი), პორკუიანი.

„დინამო": იმნაძე, ძოძუაშვილი, ჰელიძე, ებრალიძე, ხინჩაგაშვილი, მ. მაჩაიძე, ქორიძე, ესებუა, გუცაევი, გ. მაჩაიძე, დარასელია.

მსაჯი ვ. ლიპატოვი (მოსკოვი).

საკავშირო ჩემპიონატის ამ ეტაპზე, როცა ფინიშამდე სულ რაღაც 3-4 ტური დარჩა ჩასატარებელი, „დნეპრი" ერთ-ერთი მათგანია, ვისაც სრული შესაძლებლობა აქვს იბრძოლოს საპრიზო ადგილზე გასასვლელად, ან უეფა-ს ტურნირში თამაშის უფლების მოსაპოვებლად. ამ მიზნის მისაღწევად დნეპროპეტროვსკელებს აუცილებლად სჭირდებოდათ 2 ქულის აღება სწორედ ამ მატჩში, საკუთარ მინდორზე. მათ ასეც დაიწყეს თამაში: გაძლიერებული იერიშებით, მაღალ ტემპში, ნახევარდაცვის ხაზის აქტიური მოძრაობით.

დინამოელებმა მიიღეს ეს ტემპი და მინდორზე საინტერესო, დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა. რამდენიმე ძალზე სახიფათო მომენტი შექმნეს „დნეპრის" თავდამსხმელებმა ხრისტიანმა, პორკუიანმა, საპასუხო კონტრშეტევებისას ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა ჰქონდათ თბილისელებსაც. კერძოდ, ერთ-ერთ მომენტში მ. მაჩაიძის მიერ დარტყმული ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა ნაიდამ.

ტაიმის დასასრულს ტემპმა ოდნავ იკლო, მაგრამ შესვენების შემდეგ მასპინძლებმა ისევ განაახლეს იერიშები, „დინამოს" დაცვა კვლავ სრული დატვირთვით მოქმედებდა, რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო იმნაძემ. შემდგომში მდგომარეობა თანდათან გათანაბრდა, მატჩის დასასრულს კი კარის უხიფათობაზე ზრუნვა უკვე დნეპროპეტროვსკელებს მოუხდათ. 69-ე წუთზე კარი ისევ ნაიდამ იხსნა, ბურთის გატანის შესაძლებლობა მიეცათ გუცაევს, დარასელიას, მ. მაჩაიძეს.

საბოლოოდ, ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო წარმატების მიღწევა და მეტოქეებმა თანაბრად გაიყვეს ქულები.

სტატისტიკოსის ბლოკნოტიდან

ბოლო წუთების ფასი

საკავშირო გათამაშებათა მსვლელობაში ხშირია შემთხვევები, როცა ბოლო წუთებზე წყდება მატჩის ბედი. მაგალითად, თბილისის „დინამომ" 89-ე წუთზე შეძლო ერთადერთი და გადამწყვეტი ბურთის გატანა „ჩერნომორეცის" კარში, ხოლო ოდესელებმა, თავიანთი მხრივ, ზუსტად იმავე დროს გაიტანეს გამარჯვების გოლი დინამოელებთან მეორე წრის შეხვედრაში. შემდეგ „ჩერნომორეცი" კვლავ დამარცხდა ბოლო წუთზე კიევში, თანაც მასპინძლებმა ერთადერთი გოლი 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გაიტანეს.

„არარატმა" 90-ე წუთზე გაიტანა გოლი მოსკოვის „სპარტაკის" კარში. სპარტაკელებმა მატჩის მიწურულს გაუშვეს გადამწყვეტი გოლები მოსკოვის „დინამოსთან" და კიევის „დინამოსთან".

ქუთაისის ტორპედოელებმა თამაშის 90-ე წუთზე დაკარგეს ქულა ყაზანში, როცა მათ კარში პენალტი იქნა დანიშნული.

ანალოგიური მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. ბოლო წუთებს ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

გ. პიაურელი.

ჩემპიონატის ქრონიკა

18 და 19 ოქტომბერს შედგა მორიგი ტურის შეხვედრები.

„ჩერნომორეცი" — „ზენიტი" 1:2. ლენინგრადელმა ფეხბურთელებმა შეძლეს მათთვის ამ უკიდურესად საჭირო გასვლითი მატჩის მოგება და შეიქმნეს უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის შემდეგი ბრძოლის გარკვეული პერსპექტივა.

„ზარია" — „დინამო" (მოსკოვი) 0:6. მასპინძლებმა ძალზე სუსტად ჩაატარეს მატჩი და დიდი ანგარიშით დამარცხდნენ. ასეთი განსხვავებით წლევანდელ გათამაშებაში არც ერთ გუნდს არ წაუგია. დინამოელთაგან თავი გამოიჩინა შეპელმა, რომელმაც გაიტანა 3 ბურთი, დანარჩენები კი მახოვიკოვმა, გერშკოვიჩმა და იაკუბიკმა.

ცსკა — სკა 1:1. როსტოველთაგან ბურთი გაიტანა ნაზარენკომ, ხოლო ცსკა-ს მხრივ — კოვალმა.

ამჟამად ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი კვლავ კიეველი ო. ბლოხინია, რომლის ანგარიშზე 14 ბურთი მოდის. თბილისელმა დ. ყიფიანმა, კიეველმა ვ. კოლოტოვმა და მოსკოვის არმიელმა ბ. კოპეიკინმა 12-12 ბურთი გაიტანეს.

[illegible] ცნობა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" კ.	25	15	7	3	44—25	37
„შახტიორი"	27	13	8	6	38—22	34
„დინამო" მ.	26	10	11	5	33—21	31
„ტორპედო"	27	12	7	8	40—29	31
„არარატი"	27	13	4	10	37—34	30
„დნეპრი"	27	10	9	8	31—27	29
„კარპატი"	27	9	10	8	33—27	28
„ზარია"	27	9	10	8	31—36	28
„დინამო" თბ.	27	10	7	10	29—30	27
„სპარტაკი"	26	9	8	9	26—26	26
ცსკა	26	6	11	9	27—31	23
„ჩერნომორ."	27	8	7	12	25—33	23
„ლოკომოტ."	27	5	11	11	24—31	21
„ფახთაქორი"	27	8	5	14	30—41	21
„ზენიტი"	26	7	7	12	25—39	21
სკა	27	4	8	15	23—44	16

„ოქროს თავთავი" გათამაშდა

მახარაძე. აქ დამთავრდა სოფლის სპორტსაზოგადოებათა საკავშირო გათამაშება ფეხბურთში „ოქროს თავთავის" პრიზზე.

I ადგილი და მასთან ერთად საპატიო პრიზი ზედიზედ მეორედ მოიპოვა დნეპროპეტროვსკის ოლქის ნიკოპოლის რაიონის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობის გუნდმა (უკრაინა), რომელმაც 12 შესაძლებლიდან 11 ქულა დააგროვა, 16 ბურთი გაიტანა მეტოქეთა კარში, ხოლო საკუთარში არ მიუღია არც ერთი.

II ადგილის საკითხს წყვეტდა შეხვედრა ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმისა და აბოვიანის რაიონის „კოლხოზ-ბაიკარის" (სომხეთი) გუნდებს შორის. სტუმრებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1. მასპინძლებს III ადგილი დარჩათ.

ჩემპიონატები, თასები, ტურნირები

ინგლისი

შაბათს „მანჩესტერ იუნაიტედმა" შინ მოუგო ლონდონის „არსენალს" — 3:1 და დაიბრუნა ლიდერობა. მანჩესტერელთაგან გოლები გაიტანეს კოპელმა (2) და პირსონმა.

ერევნის „არარატის" მეტოქემ თასების მფლობელთა თასზე, ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედმა" სასტიკი მარცხი განიცადა სტუმრად („მიდლსბროსგან") — 0:3 (გოლები გაიტანეს საუნესმა, არმსტრონგმა და ფოგანმა). კომენტატორთა აზრით, ეს იყო „ვესტ ჰემის" ყველაზე ცუდი თამაში მიმდინარე სეზონში. ინგლისის ეროვნულ ნაკრებში ახლა გამოდის ლონდონელთა ნახევარმცველი ბრუკინგი, ხოლო ახალგაზრდულ ნაკრებში — მცველი ლოკი.

ლონდონის „ქუინზ პარკ რეინჯერსმა" სტუმრად წააგო „ბერნლისთან" — 0:1, „ბირმინგემ სიტიმ" და „ლიდს იუნაიტედმა" ფრედ ითამაშეს — 2:2 (ლიდსელები აგებდნენ — 0:2, მაგრამ მატჩის მიწურულში ჩერიმ და ჰანტერმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება). „ნიუკასლ იუნაიტედმა" მოუგო „ნორვიჩ სიტის" — 5:2.

დანარჩენი შედეგები ასეთია: „კოვენტრი სიტი" — „ლივერპული" 0:0, „დერბი ქაუნთი" — „ვულვერჰემპტონ უონდერერსი" — 3:2, „ევერტონი" (ლივერპული) — „ასტონ ვილა" (ბირმინგემი) — 2:1, „იფსვიჩ თაუნი" — „ლესტერ სიტი" — 1:1, „შეფილდ იუნაიტედი" — „სტოკ სიტი" 0:2, „ტოტენჰემ ჰოტსპური" — „მანჩესტერ სიტი" — 2:2. აი, ლიდერებიც:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მანჩესტერ იუნაიტედი"	13	8	3	2	23:11	19
„ქუინზ პარკ რეინჯერსი"	13	6	5	2	21:9	17
„ვესტ ჰემ იუნაიტედი"	12	7	3	2	18:14	17
„დერბი ქაუნთი"	13	7	3	3	19:17	17
„ლივერპული"	12	6	4	2	18:10	16
„მიდლსბრო"	13	6	4	3	15:10	16

შოტლანდია

ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩებში რამდენიმე სიურპრიზი მოხდა. გლაზგოს „სელტიკმა" შინ ვერაფერი გააწყო ედინბურგის „ჰიბერნიანთან" და აგებდა (0:2), მაგრამ ფინალურ სასტვენამდე სულ რამდენიმე წუთი რომ რჩებოდა, არბიტრმა შეწყვიტა შეხვედრა, ვინაიდან ბურუსმა მოიცვა სტადიონი და თამაშის გაგრძელება შეუძლებელი იყო. მატჩის საბოლოო შედეგი ჯერ არ დადგენილა.

„გლაზგო რეინჯერსმა" კარგად დაიწყო შეხვედრა „მადერუელთან", როცა ჯონსტონმა გოლი გაიტანა, მაგრამ მეორე ნახევარში მასპინძლებმა პეტიგრიუმ და დევიდსონმა ჩემპიონის კარში 2 გოლი გაიტანეს და გლაზგოელებმა 2 ქულა დაკარგეს.

დანარჩენი შედეგები: „დანდი" — „დანდი იუნაიტედი" — 1:2, „ჰართ ოვ მიდლოტიენი" — „ეირ იუნაიტედი" — 2:1, „აბერდინი" — „სენტ ჯონსტონი" — 2:0.

„სელტიკი"	7	5	1	1	15:7	11
„გლაზგო რეინჯერსი"	8	4	2	2	9:7	10
„დანდი იუნაიტედი"	8	4	1	3	11:9	9

ესპანეთი

კვირას სან-სებასტიანის „რეალ სოსიედადი" შეხვდა ჩემპიონსა და ლიდერს — მადრიდის „რეალს". ანგარიში მე-3 წუთზე გახსნა სამორამ. მადრიდელთა კონტრშეტევები დიდხანს უშედეგო იყო, მატჩის უკანასკნელ წუთებზე კი მარტინესმა შეძლო ანგარიშის გათანაბრება — 1:1.

ბარსელონის „ესპანიოლმა" შინ აჯობა „ვალენსიას" — 1:0. გოლი პენალტით გაიტანა გუნდის კაპიტანმა ხ. მარიამ.

ალიკანტეში „ერკულესმა" სძლია „ელჩეს" — 1:0. გოლი გაიტანა ბარიოსმა. „სანტანდერმა" და ბილბაოს „ატლეტიკმა" ფრედ ითამაშეს — 1:1. აქ ანგარიში „სანტანდერის" ფორვარდმა კინიტომ გახსნა, შემდეგ არბიტრმა მინდვრიდან გააძევა ბასკების მცველი ლასა, მაგრამ ფინალურ სასტვენამდე დანიმ ანგარიში გაათანაბრა.

სხვა მატჩების შედეგები: „ბეტისი" — „სპორტინგი" (ხიხონი) — 1:0, „გრანადა" — „სევილია" — 1:1, „ლას პალმასი" — „რეალ სარაგოსა" — 3:2, „რეალ ოვიედო" — „სალამანკა" — 0:1.

6 ტურის შემდეგ 10 ქულით ლიდერობს მადრიდის „რეალი". „ბარსელონას" 5 თამაშის შემდეგ 8 ქულა აქვს, ხოლო „ესპანიოლსა" და „ერკულესს" 6 თამაშის შემდეგ — ასევე 8-8 ქულა.

ბელგია

მორიგ ტურში „სერკლ ბრიუგემ" მოუგო „ლოკერენს" — 1:0, „ვარეგემმა" ფრედ ითამაშა „ანტვერპენთან" — 0:0, „ანდერლეხტმა" აჯობა „ოსტენდეს" — 1:0. მოლენბეკის „რასინგ უაიტმა" სტუმრად მოუგო „ლიეჟს" — 2:1. გამარჯვებულთაგან გოლები გაიტანეს ტეგესმა და კოენსმა.

14-14 ქულით ლიდერობენ „ვარეგემი" და „ლოკერენი". „ანტვერპენს" 13 ქულა აქვს.

99 განაცხადი

პრესაში უკვე იყო გამოქვეყნებული ცნობა იმის თაობაზე, რომ მსოფლიოს 1978 წლის საფეხბურთო ჩემპიონატში მონაწილეობისთვის ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში შემოვიდა 99 ქვეყნის განაცხადი. 32 მონაწილე წარმოადგინა ევროპამ, 24—აფრიკამ, 17—აზიამ, 14 — ჩრდილოეთ, ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნებმა, 10 — სამხრეთ ამერიკამ და 2 — ოკეანიამ.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ წინა მსოფლიო ჩემპიონატშიც 99 განაცხადი იყო შემოსული.

მომავალი ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფები დადგინდება ფიფა-ს საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე გვატემალაში 19 ნოემბერს.

ფიფა-ს ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ის ქვეყნები, რომლებიც ორჯერ ზედიზედ აარიდებენ თავს მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობას, ხმის უფლებას დაკარგავენ ფიფა-ს მორიგ კონგრესზე 1976 წელს მონრეალში.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

პორტუგალია

ლისაბონის „ბენფიკამ" წააგო ლისაბონის „ბელენენსეშთან" — 2:4. „ბოავისტამ" ფრედ ითამაშა გაიმარაიშის „ვიტორიასთან" — 1:1.

	თ.	ბ.	ქ.
„ბენფიკა"	6	22:7	9
„ბოავისტა"	6	12:5	9
„ბელენენსეში"	6	13:8	9
„სპორტინგი" (ბრაგა)	6	9:6	9

უნგრეთი

ბუდაპეშტის „ფერენცვაროშმა" მოუგო ბუდაპეშტის „ვაშაშს" — 2:1. ანგარიში „ვაშაშის" გარემარბმა ვარადიმ გახსნა, მაგრამ ბალინტისა და მუხას ზუსტმა საპასუხო დარტყმებმა გამარჯვება ლიდერს მოუტანა. „უიპეშტ დოჟამ" ფრედ ითამაშა ბუდაპეშტის „ჰონვედთან" — 1:1.

„ფერენცვაროში"	9	8	0	1	23:10	16
„ვიდეოტონი"	9	6	2	1	22:9	14
„უიპეშტ დოჟა"	9	5	1	3	19.15	11

ჩეხოსლოვაკია

XII ტურის სიურპრიზი იყო ჩემპიონის — ბრატისლავის „სლოვანის" მარცხი საკუთარ მინდორზე ოსტრავის „ბანიკთან" — 1:3, „კოშიცემ" მოუგო ბრნოს „ზბროიოვკას" — 4:0. 3 ბურთი გაიტანა გალისმა, რომელიც 16 გოლით ლიდერობს სნაიპერთა სიას.

„კოშიცე"	12	8	0	4	33:20	16
„სლოვანი"	12	6	2	4	26:13	14
„სლავია" (პრაღა)	12	6	2	4	25:15	14
„დუკლა" (პრაღა)	12	6	2	4	22:14	14

● ●

თასები, თასები..

გფრ

შაბათს ჩატარდა ეროვნული თასის გათამაშების II წრის მატჩები. მოსკოვის „სპარტაკის" მეტოქემ უეფა-ს თასის გათამაშებაში — „კიოლნმა" დიდი ანგარიშით დაამარცხა II ლიგის კლუბის „ფრაიბურგი" — 8:2.

(საქ. ინფ.).

II ლიგა I ზონა

მოგვყავს 17 ოქტომბერს ჩატარებული მატჩების შედეგები: „დილა" (გორი) — „შირაკი" (ლენინაკანი) 2:0, „გურია" (ლანჩხუთი) — „პროგრესი" (კიროვაბადი) 1:0, „ნეფტიანიკი" (ფერგანა) — „დინამო" (ბათუმი) 1:0, „ფახთაჩი" (გულისტანი) — „მერცხალი" (მახარაძე) 2:1, „ჯიზაკი" (ჯიზაკი) — „დინამო" (ზუგდიდი) 1:0, „ავტომობილისტი" (თერმეზი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 4:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„იანგიერი"	32	18	8	6	60—28	44
„სტროიტ."	33	18	4	11	64—29	40
„ხანკი"	33	16	8	9	47—37	40
„გურია"	32	16	5	11	56—46	37
„დილა"	33	16	4	12	47—56	36
„ჯიზაკი"	32	14	6	12	38—42	34
„მეტალურ."	32	13	7	12	40—48	33
„ლოკომოტ."	32	13	6	13	54—52	32
„ფახთაჩი"	32	12	8	12	36—45	32
„დინამო" ბ.	32	13	5	14	49—37	31
„პროგრესი"	32	13	5	14	51—46	31
„ნეფტიან."	32	13	5	14	37—41	31
„შირაკი"	33	12	6	15	42—50	30
„დინამო" ზ.	32	13	4	15	51—61	30
„მერცხალი"	32	11	5	16	33—53	27
ფიზკ. ინს.	33	9	7	17	19—43	25
„ავტომობ."	32	10	4	18	42—48	24
„ხაზარი"	32	8	7	17	42—61	23

ჯილდოები გადაეცათ

პარიზში გაიმართა ჟურნალ „ფრანს ფუტბოლისა" და ფირმა „ადიდასის" ყოველწლიური ლაურეატების დაჯილდოების ცერემონიალი.

„ოქროს ბუცი" გადაეცა რუმინელ დ. ჟორჟესკუს (ბუქარესტის „დინამო"), რომელმაც ეროვნულ ჩემპიონატში 33 ბურთი გაიტანა.

„ვერცხლის ბუცით" დაჯილდოვდა სამი ფეხბურთელი: ონისი („მონაკო"), გელსი („აიაქსი") და იაზალდე (ლისაბონის „სპორტინგი", ახლა მარსელის „ოლიმპიკში" გამოდის) — 30-30 ბურთი.

„ბრინჯაოს ბუცი" დაიმსახურეს რიდლმა („ანტვერპენი") და ვან დერ კაილენმა („ფშვ ეინდჰოვენი") — 28-28 ბურთი.

მოკლედ

● **მონტევიდეო.** გამოვლინდნენ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის ფინალისტები. ესენი არიან პერუსა და კოლუმბიის გუნდები. კოლუმბიელებმა ნახევარფინალში მოიგეს ურუგვაიელებთან (3:0 და 0:1), ხოლო პერუელებმა — ბრაზილიელებს (3:1 და 0:2).

● **პარიზი.** საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელად მუშაობას შეუდგა მ. იდალგო, რომელმაც ამ პოსტზე შეცვალა რუმინელი სპეციალისტი შ. კოვაჩი. იდალგო თამაშობდა საფრანგეთის „რეიმსში", „მონაკოში" და ეროვნულ ნაკრებში, ხოლო შემდეგ საფრანგეთის პროფესიონალ ფეხბურთელთა სინდიკატის პრეზიდენტი იყო.

● **ლონდონი.** განთქმულმა ინგლისელმა ფეხბურთელმა, წარსულში ამ ქვეყნის ნაკრების კაპიტანმა ბ. ჩარლტონმა გადაწყვიტა საბოლოოდ დანებოს თავი ფეხბურთს. იგი ერთ-ერთი სავაჭრო ფირმის დირექტორი გახდა.

● **პარიზი.** ფრანგული „ფრანს ფუტბოლის" პრიზისთვის ბრძოლაში, რომელიც ყოველწლიურად გადაეცემა ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების ყველაზე შედეგიან ფეხბურთელს, „ოქროს ბუცი", ამჟამად ლიდერობს [illegible], რომელმაც 10 მატჩში 12 გოლი გაიტანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



იუგოსლავიის ქალაქი ზაგრები მაგიდის ჩოგბურთში ევროპის იუნიორთა XVIII ჩემპიონატის მონაწილეებს მასპინძლობდა. 27 ქვეყნის 250-მდე სპორტსმენი ასპარეზობდა გუნდური და პირადი პრიზებისთვის.

საბჭოთა ჩოგბურთელები საკმაოდ კარგად თამაშობენ ამგვარ შეჯიბრებებში, მაგრამ განსაკუთრებული წარმატება ხვდათ შარშანდელ ჩემპიონატში, როცა ერევნელები ე. ანტონიანი და ბ. ბურნაზიანი კონტინენტის ჩემპიონები გახდნენ: პირველი — გოგონებს, მეორე — ჭაბუკებს შორის.

საბჭოთა სპორტსმენებს ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ თავიანთი მაღალი რეპუტაცია კიდევ ერთხელ დაემტკიცებინათ. გუნდში აღარ იყო ანტონიანი, ვინაიდან იგი იუნიორთა ასაკს გადასცდა. სამაგიეროდ, თავისი მაღალი წოდების დასაცავად იბრძოდა ბურნაზიანი. მან ამ პირველობაშიც მაღალი კლასი გამოავლინა და კვლავ მოიპოვა ჩემპიონობა. გოგონათა შორის ჩემპიონი გახდა სვერდლოვსკელი ტ. ფერდმანი.

ამავე დროს საბჭოთა ნაკრები გუნდები ევროპის ჩემპიონები გახდნენ უფროსი ასაკის გოგონებსა და ჭაბუკებს შორის.

სსრ კავშირის წარმომადგენლებს კიდევ ერთი უმაღლესი ჯილდო ხვდათ უმცროსი ასაკის გოგონათა შეჯიბრებაში.

ა. მხეიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბელგრადი — თბილისი.

• • •

სურათებზე: ზაგრების სპორტის სასახლის ხარბიელზე ერთდროულად 18 მაგიდაზე მიმდინარეობდა შეჯიბრება; თამაშობს ევროპის ჩემპიონი ტ. ფერდმანი; ბ. ბურნაზიანი შეხვედრის დაწყების წინ ყურადღებით უსმენს თავის მასწავლებელს, სსრ კავშირის იუნიორთა ნაკრების მწვრთნელს ი. ლაზარიანს.

გ. ახალაძის ფოტოები.
(ჩვენი სპეც. კორ.).

[illegible]

მსოფლიო პირველობა?..

როგორც ჰამბურგის გაზეთი „დი ველტი“ იუწყება, დიურენში გაიმართა მსოფლიო პირველობა... ალუბლის კურკის გადაფურთხებაში.

I ადგილზე გავიდა სტუდენტი იოზეფ ჰერტი, რომელმაც კურკა 17,34 მეტრზე გადააფურთხა და მანამდელ მსოფლიო რეკორდს 2,40 მეტრით გადააჭარბა.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის ლანდტაგის თავმჯდომარე ვილჰელმ ლენცი. მისი შედეგი გახლავთ 9,72 მ. როგორც ხედავთ, ადგილობრივი პარლამენტის მოღვაწე საკმაოდ ჩამორჩა მსოფლიო რეკორდსმენს.

როცა ანგარიშია 30:0

გფრ-ის ბუნდესლიგის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბის „აინტრახტისა“ (მაინის ფრანკფურტი) და მოყვარულთა გუნდ „ჰატერსჰაიმის“ შეხვედრას უფრო ანეგდოტური ხასიათი ჰქონდა, ვიდრე სპორტული: „აინტრახტმა“ გაიმარჯვა უჩვეულო ანგარიშით — 30:0.

წაგებულთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა თქვა:

— ჩვენს მეკარეს რა უჭირდა. იგი ისეთ უსიამოვნო მოვალეობას არ ასრულებდა, როგორც ცენტრიდან თამაშის დაწყება გახლავთ.

მეკარემ კი განაცხადა:

— ახლა კი მივხვდი, რომ თავდასხმაში თამაში გაცილებით იოლი ყოფილა, ვიდრე კარში.

გმირი კომკავშირელის ხსოვნის აღსანიშნავად

ნ. კურჩენკოს მემორიალში (გაიმართა თბილისში, ლენინის სახელობის სპორტდარბაზში) მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდებმა. სულ საასპარეზოდ ქალთა 5 და ვაჟთა 8 კოლექტივი გამოვიდა.

ვაჟთა შეჯიბრება ორ ეტაპად წარიმართა: წინასწარ ორ ჯგუფში 4-4 გუნდი თამაშობდა, შემდეგ კი I ადგილებზე გასულნი მთავარი პრიზისთვის იბრძოდნენ, II ადგილებზე გასულები III ადგილისთვის ხვდებოდნენ ერთმანეთს და ა. შ.

ქალებმა ერთ წრედ გაითამაშეს გმირი სოხუმელი ბორტგამცილებლის ხსოვნის თასი.

ვაჟთა გუნდების გადამწყვეტ შეხვედრამდე გზა გაიკაფეს „ბურევესტნიკმა“ (ფაქტიურად — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა) და საასპარეზოდ მოწვეულმა კრასნოიარსკელმა ფრენბურთელებმა, რომლებმაც გაიმარჯვეს ნადეჟდა კურჩენკოს საკავშირო მემორიალში. საინტერესო მატჩი ჩვენი გუნდის (მწვრთნელი — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი ი. ნიკოლაიშვილი) დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა — 3:0 (16:14, 15:13, 15:8).

როგორც ანგარიშიდანაც ჩანს, პირველ ორ პარტიაში შეუძლებელი იყო გამარჯვებულის წინასწარმეტყველება, ყველაფერი სასწორზე იდო... და მაინც, ბურევესტნიკელებმა უმძაფრეს ბრძოლაში შეძლეს დაწინაურება და მესამე პარტიაში საკმაოდ იოლად სძლიეს უკვე „გატეხილ“ მეტოქეს.

III ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის არმიის სპორტული კლუბის გუნდი და „კოლმეურნე“. არმიელმა სპორტსმენებმა ანგარიშით 3:0 დაამარცხეს მეტოქე.

მომდევნო ადგილები ასეთი თანამიმდევრობით განაწილდა: „დინამო“, „ლოკომოტივი“, „სპარტაკი“, „განთიადი“.

ქალთა შორის დამაჯერებლად იასპარეზა „კოლმეურნის“ გუნდმა, რომელმაც ოთხივე მეტოქე დაამარცხა.

ფ. ლეონიძე.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

28 ოქტომბერს

საქართველოს პროფსაბჭოს სხდომათა დიდ დარბაზში გაიმართება სპორტსაზოგადოება „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პლენუმი.

დღის წესრიგი:

1. სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში „განთიადის“ სპორტსმენების მონაწილეობის შედეგები და XXI ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებაში საზოგადოების ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანები (მომხს. ბ. ბაჟანოვი).
2. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისთვის ქუთაისის ფიზკულტურული ორგანიზაციებას მიერ აღებული თვითვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ (მომხს. შ. რევიშვილი).

კაპი, ბალცო, კარპატი...

უნგრულმა გაზეთმა „ნეპშპორტმა“ მკითხველებს სთხოვა მოეწერათ უკანასკნელი 30 წლის მანძილზე ვის თვლიან ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენებად. რედაქციამ მიიღო 23719 გამოხმაურება, რომლებშიც დასახელებული იყო 121 სპორტსმენი.

რაიმე ობიექტურ საზომზე ლაპარაკი ზედმეტია, ვინაიდან რომელიმე სპორტსმენისთვის უპირატესობის მინიჭება წმინდა სუბიექტური მოსაზრებით ხდება. აბა რით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მსოფლიოს ცხრაგზის ჩემპიონი მაგიდის ჩოგბურთში ფ. შიდო, ანდა მძლეოსანი შ. იხაროში, რომელმაც ერთი წლის მანძილზე გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდები, დაწყებული 1500 მეტრი დისტანციიდან და 10000 მეტრით დამთავრებული, ან მოფარიკავეები ა. გერევიჩი და პ. კოვაჩი, რომლებმაც ბოლო 30 წლის მანძილზე 4-4 ოქროს მედალი მოიპოვეს ოლიმპიურ თამაშებში, პირველ ექვსეულში ვერ მოხვდნენ?

აი, ეს ექვსეულიც:

I ადგილზეა ლონდონის, ჰელსინკისა და მელბურნის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი კრივში ლ. პაპი — 67802 ქულა. II ადგილზე გავიდა მსოფლიოს ხუთგზის და მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი თანამედროვე ხუთჭიდში ა. ბალცო — 53145 ქულა. მესამეა ექვსგზის ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი ფარიკაობაში რ. კარპატი — 31486 ქულა.

IV ადგილზეა ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი ჭიდაობაში ი. კოზმა — 16665 ქულა. ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრებში 100 მატჩის მონაწილემ, ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელმა ი. ბოჟიკმა V ადგილი დაიკავა — 12693 ქულა. ექვსეულის ბოლოშია მსოფლიოს ექვსგზის და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ძალოსნობაში ი. ფიოლდი — 10811 ქულა.

49 წლის პაპი მართლაც ფენომენალური სპორტსმენია. საკმარისია ითქვას, რომ მის სპორტულ მიღწევებს მსოფლიოში ვერც ერთი მოყვარული მოკრივის მაჩვენებლები ვერ შეედრება. მწვრთნელად მოღვაწეობის სულ მოკლე დროში მისმა აღსაზრდელებმა ბევრჯერ გაიმარჯვეს ევროპულ ჩემპიონატებში და მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებში. მიუხედავად ასაკისა, პაპი თავის აღსაზრდელებთან დაუღალავად მუშაობს რინგზე, არ ურტყამს, მხოლოდ დარტყმებს იცდენს. და ეს ხდება 15-20 რაუნდის განმავლობაში შეუსვენებლივ. ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოსა და ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედლების მფლობელი, 20 წლის ბოტოში ბედნიერად თვლის თავს, რომ ორი რაუნდის მანძილზე მან თუნდაც ერთხელ (!) შეძლო დაერტყა მასწავლებლისთვის. ოლიმპიური ჩემპიონი გედო ამბობს, რომ მას ახლაც არ ეგულება უნგრეთში მოკრივე, რომელიც პაპს დაამარცხებდა. რინგი რომ არ დაეტოვებინა, ლასლო პაპს შეეძლო ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი გამხდარიყო.

ბალცოს პოპულარობაც არა მარტო მისი შესანიშნავი სპორტული მიღწევებით აიხსნება: მას მშვენიერი ადამიანური თვისებები და ცხოვრებაშიც „სპორტული“ იერი აქვს. თუმცა მისი გამარჯვების შეუფასებლობაც არ იქნებოდა სწორი. ცნობილია, რომ თანამედროვე ხუთჭიდში ასპარეზობისას ფარიკაობაში ჯერ ერთი ქვეყნის სპორტსმენები ეჯიბრებიან ერთმანეთს. ჰოდა, მექსიკაში უნგრელებმა ერთმანეთი „დახოცეს“ და, როცა ქულები დათვალეს, ბალცოს სწორედ ის ქულები აკლდა პირად პირველობაში გამარჯვებისთვის. როცა ხუთჭიდის ბოლო სახეობაში — მძლეოსნურ კროსში ბალცო საასპარეზოდ გავიდა, დისტანცია ისე გაირბინა, როგორც გუნდური გამარჯვებისთვის იყო საჭირო. უნგრელი ხუთჭიდელის უკან მორბენალმა შვედმა ფერმმა მას გაუსწრო და ბალცოს მხოლოდ ვერცხლის მედალი ხვდა. „მე გავიმარჯვე, მაგრამ ბალცო ყველა დროის უდიდესი ხუთჭიდელია“, — თქვა ფერმმა.

კარპატი არა მარტო სპორტული მიღწევებითაა ცნობილი, იგი უაღრესად სამართლიანი ადამიანია და დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებშიც კი, როცა მსაჯები ვერ ამჩნევდნენ, მიღებულ ჩხვლეტებზე თვითვე ამბობდა. ამავე დროს, უცხოეთში ყოველ გამგზავრებას კარპატი თავისი მუსიკალური კოლექციის შესავსებად იყენებდა. მას შეგროვილი აქვს ავსტრალიის აბორიგენების, აფრიკის, აზიის, ლათინური ამერიკის ქვეყნების მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშები და ფარიკაობა რომ არა, მაინც გაითქვამდა სახელს, როგორც მუსიკისმცოდნე. უნგრეთის სახალხო არმიის რიგებში მან პოლკოვნიკის წოდებამდე მიაღწია და დღესაც ოფიცერთა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწევა, პირველ ყოვლისა, მუსიკალური აღზრდის მხრივ.

გამოკითხვაში დასახელებული 121 სპორტსმენი, რომელთა უბრალო ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა, უნგრეთის ახალგაზრდა სპორტსმენებისთვის და ქვეყნის მომავალი თაობისთვის სამაგალითო გახდა.

„ლოკომოტივის“ სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

ფეხბურთი '75

ვეტერანთა ტურნირი

მიძღვნილი კომკავშირის შექმნის 57 წლისთავისადმი

23 ოქტომბერს

„დინამო“ (თბილისი) — მოსკოვის ნაკრები

24 ოქტომბერს

„დინამო“ (თბილისი) — საბჭოთა კავშირის ნაკრები

მატჩების დასაწყისი 18 ს. 30 წ.

მონაწილეობენ: მესხი, მეტრეველი, ჩოხელი, ს. კოტრიკაძე, დათუნაშვილი, კალოევი, ხომიჩი, მასლიონკინი, დემენტიევი, ვ. პონომარიოვი, ჩუსაინოვი, სტრელცოვი და სხვები.

ბილეთები გაიყიდება თამაშების დღეს სტადიონის სალაროებში.

ИНДЕКС 66418

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 14204